186/12
1932
34(05)
6-29

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1932 წ. თებერვლის 20. № 2 ნაწილი პირველი

შ ი ნ ა ა რ ს ი

ახელმწიფო წყობილება და მმართველობა.

11. ქ. ზესტაფონში საქალაქო საბჭოს დაარ-ების შესახებ.
12. მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოე-ის დამხმარე საზოგადოებათა შესახებ.
13. $7^1/_2$-კილომეტრიანი სანაპირო ზოლის არგლებში სათანადო ნებართვის გარეშე შე-ულ პირთა გადასახდელის შესახებ.

ახალხო მეურნეობის საერთო საკით-ხები.

14. საგამომგონებლო საქმეთა ორგანოების ეორგანიზაციის შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

15. საქონლის ერთდროული აღნუსხვის შე-სახებ.
16. კოლმეურნეთა საზოგადოებრივი ურთი-ერთი დახმარების სალაროს დებულების და-მტკიცების შესახებ.

დებულება კოლმეურნეთა საზოგადოებრივი ურთიერთი დახმარების სალაროს შესახებ.

შ რ ო მ ა.

17. მებამბეობის 1932 წლის გეგმის შესრუ-ლებასთან დაკავშირებით მდინარეთა შემობექუ-რებისათვის შრომითი საჭაპანზიდვო ბეგარის შემოღების შესახებ.

სოციალურ-კულტურული წყობილება.

18. ხონის ყოფილი სამოსწავლო სემინარიის, ამჟამად პედაგოგიური ტექნიკუმის, 50 წლის არსებობის აღნიშვნის შესახებ.

სახელმწიფო წყობილება და მმართველობა.

11. დადგენილება ც.ა.კ.

ქ. ზესტაფონში საქალაქო საბჭოს დაარსების შესახებ.

ვინაიდან ქალ. ზესტაფონში უკანასკნელ ხანს აგებულია და აგრეთვე ამ-ჟამად შენდება მთელი რიგი ახალი სამრეწველო საწარმონი (ფერო-მარგანეცის ქარხანა, აგურის ქარხანა და სხვ.), რის გამოც მუშათა მოსახლეობა იმდენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიზარდა, რომ ქალაქის მოსახლეობის დიდ ნაწილს შეადგენს, და სასოფლო საბჭოს არსებობა ზესტაფონში ამჟამად არ შეეფერება ამ ქალაქის მოსახლეობის სოციალურ შედგენილობას, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, საქართველოს სსრ ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) 64 მუხლის თანახმად, ადგენს:

I

1. ქალ. ზესტაფონში, ამჟამად არსებული სასოფლო საბჭოს ნაცვლად, მოეწყოს საქალაქო საბჭო „ქალაქის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების დებულებით" გათვალისწინებულ საერთო საფუძველზე.

2. ზესტაფონის საქალაქო საბჭოს არჩევნებისათვის დაწესებულ იქნეს საარჩევნო ნორმა—ერთი დეპუტატი ყოველ 50 ამომრჩეველზე.

3. ამა დადგენილების ძალაში შესვლის შემდეგ ზესტაფონის სასოფლო საბჭო დაიშალოს და მოხდეს საქალაქო საბჭოს არჩევნები საბჭოთა არჩევნების ინსტრუქციით გათვალისწინებული წესისამებრ.

II

„ქალაქის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების დებულების" 1 მუხლი და 6 მუხლის 1-ლი ნაწილი (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-3 №-ი, მუხ. 18) შეიცვალოს შემდეგნაირად:

„1. ქალაქის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოები ქვემომდევნო მუხლებით გათვალისწინებულ საფუძველზე მოეწყობა ქალაქ ტფილისში, ბათომში, სოხუმში, ცხინვალში (სტალინირი), ქუთაისში, ფოთში, გორში, ხაშურში (სტალინისი), ბორჯომში, ჭიათურაში, ზესტაფონში და სამტრედიაში.

შენიშვნა. ქალაქ თელავში, სიღნაღში, დუშეთში, ლიუქსემბურგში, შაუმიანში, ახილციხეში, ახალქალაქში, ონში, ხონში, ობურგეთში, სენაკში, ზუგდიდში, ოჩემჩირეში, გუდაუთში და გაგრაში მოეწყობა სასოფლო საბჭოები სასოფლო საბჭოების შესახებ არსებული კანონმდებლობის საფუძველზე".

„6. (ნაწ. 1-ლი). ქალაქის საბჭო აირჩევა შემდეგი ანგარიშით: ტფილისში—ერთი დეპუტატი 200 ამომრჩეველზე, ქუთაისში—ერთი დეპუტატი 150 ამომრჩეველზე, ბათომში—ერთი დეპუტატი 100 ამომრჩეველზე, სოხუმში, ცხინვალში (სტალინირი), ფოთში, გორში, ხაშურში (სტალინისი), ბორჯომში, ჭიათურაში, ზესტაფონში და სამტრედიაში ერთი დეპუტატი 50 ამომრჩეველზე".

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარის მოვ. დრ. აღმსრ. **ბ. მაჩაიძე.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. დეკემბრის 21.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოების დამხმარე საზოგადოებათა შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. იმ მიზნით, რათა მშრომელთა ფართო მასებმა უშუალო მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო მმართველობაში, და აგრეთვე იმ მიზნით, რომ მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოებს დახმარება გაეწიოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში და, კერძოდ, ამ ორგანოების მიერ ხულიგნობასთან, ქუჩებში, საზოგადოებრივ ადგილებში და სხვ. წესრიგის დარღვევასთან წარმოებულ ბრძოლაში, ნებადართულ იქნეს საქართველოს სსრ ქალაქებსა და მუშათა დაბებში მუშათა და გლეხთა მილიციის ორგანოების დამხმარე ნებაყოფლობითი საზოგადოებების მოწყობა ამა დადგენილების ქვემომდევნო მუხლებში აღნიშნულ საფუძველზე.

2. მილიციის ორგანოების დამხმარე საზოგადოება მოეწყობა მუშათა და გლეხთა მილიციის სათანადო საქალაქო და სარაიონო სამმართველოსთან და მოქმედობს ამ სამმართველოს და ადგილობრივი საბჭოს სათანადო სექციების უშუალო ხელმძღვანელობით.

დამხმარე საზოგადოება შესდგება ფაბრიკებთან, ქარხნებთან, საწარმოებთან და დაწესებულებებთან მოწყობილი უჯრედებისაგან.

აღნიშნულ საზოგადოებათა დაარსებისა, მათი ლიკვიდაციისა, აგრეთვე მათი წესდებების დამტკიცებისა და რეგისტრაციის წესი ექვემდებარება საერთო წესებს, რაც გათვალისწინებულია იმ საზოგადოებათა და კავშირთა დებულებით, რომელნიც მოგებას არ მისდევენ (საქართველოს სსრ კან. კრ. 1930 წ. 24 №-ი, მუხ. 339; 1931 წ. მე-8 №-ი, მუხ. 76), რამდენადაც ამა დადგენილებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მილიციის ორგანოების დამხმარე საზოგადოების მოქმედება მოწესრიგდება ნორმალური წესდებით, რასაც დაამტკიცებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილება.

3. მილიციის ორგანოების დამხმარე საზოგადოების წევრად შეიძლება იყოს ორივე სქესის მოქალაქე, რომელსაც 18 წელი შესრულებია, აქვს საბჭოების არჩევის უფლება, არ არის მიცემული სამართალში თუ გამოძიებაში, არა აქვს შეზღუდული უფლება სასამართლოს განაჩენით და აგრეთვე არა აქვს გადაწყვეტილი ხულიგნობისათვის სოციალური დაცვის სისხლის სამართლის ღონისძიება ან ადმინისტრატიული გადასახდელი. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს და აღნიშნულ საზოგადოებათა მოქმედების რაიონის საქალაქო და სასოფლო საბჭოს უფლება აქვს ჩამოაცილოს საზოგადოების წევრად მიღებული პირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. მილიციის ორგანოების დამხმარე საზოგადოების წევრს უფლება აქვს:

ა) შეადგინოს ოქმი ადგილობრივი საბჭოს და აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გამოცემული სავალდებულო დადგენილების დარღვევის გამო;

ბ) მიიღოს საჭირო ღონისძიებანი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის მოსპობისათვის და აგრეთვე დამნაშავეთა შეპყრობისათვის მილიციის თანამშრომელთა მისვლამდე, რაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მილიციის უახლოეს ორგანოს.

5. მილიციის ორგანოების დამხმარე საზოგადოების წევრს მილიციის საათანადო ორგანომ შეიძლება დააკისროს შემდეგი მოვალეობა:

ა) საზოგადო ადგილას წესრიგისათვის თვალყურის დევნება;

ბ) მილიციის შემოვლაში მონაწილეობის მიღება;

გ) თანამოწმის მოვალეობის შესრულება მილიციის ორგანოს მიერ გაჩხრეკის, დათვალიერების და ამოხმის მოხდენის დროს;

დ) მილიციის ორგანოში მორიგეობა;

ე) საგუშაგო სამსახურის გაწევა;

ვ) პატიმართა ბადრაგობა.

შენიშვნა. მილიციის ორგანოებს უფლება აქვთ, საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარი სამმართველოს განსაკუთრებული ინსტრუქციით განსაზღვრული წესისამებრ, მისცენ მილიციის ორგანოების დამხმარე საზოგადოების წევრებს იარაღი მათ მიერ ამა მუხლის „ე“ და „ვ“ პუნქტებში აღნიშნული მინდობილობის აღსრულების დროს.

6. ამა დადგენილების მე-4 და მე-5 მუხლებში აღნიშნული მოვალეობის აღსრულების დროს მილიციის ორგანოების დამხმარე საზოგადოების წევრები გათანასწორებული არიან თანამდებობის პირებთან და ამ პირების თანაბრად პასუხს აგებენ სასამართლო და სადისციპლინო წესით თავიანთი უკანონო და არასათანადო მოქმედებისათვის.

7. მილიციის ორგანოების დამხმარე საზოგადოებათა მოქმედების საერთო ხელმძღვანელობა და ინსტრუქტირება დაეკისრება საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მილიციის მთავარ სამმართველოს.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მოვ. დრ. აღმსრ. **მ. ტოროშელიძე.**

1931 წ. დეკემბრის 31.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. დადგენილება ს.კ.ს.

$7^1/_2$-კილომეტრიანი სანაპირო ზოლის ფარგლებში სათანადო ნებართვის გარეშე შესულ პირთა გადასახდელის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. $7^1/_2$-კილომეტრიანი სანაპირო ზოლის ფარგლებში სათანადო ნებართვის გარეშე შესვლა გამოიწვევს, როგორც კერძო პირთათვის, ისე სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი დაწესებულების მიერ მივლინებულ პირთათვის, ჯარიმას ას მანეთამდე ან იძულებით მუშაობას ვადით ერთ წლამდე, აღნიშნული ზოლიდან გამოყვანით.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნულ გადასახდელს დაადებენ და გამოყვანას განახორციელებენ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოები ადმინისტრატიული წესით.

3. საქართველოს სსრ მილიციის მთავარ სამმართველოს ევალება აცნობოს ეს მოსახლეობას პერიოდული ბეჭდვითი ორგანოების საშუალებით.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. იანვრის 4.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 25 №-ში 1932 წ. იანვრის 30.

სახალხო მეურნეობის საერთო საკითხები

14. დადგენილება ს. კ. ს.

საგამომგონებლო საქმეთა ორგანოების რეორგანიზაციის შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის აპრილის 9-ის დადგენილებით დამტკიცებული გამოგონებათა და ტეხნიკურ გაუმჯობესებათა დებულების (სსრკ-ის კან. კრ. 1931 წ. 21 №-ი, მუხ. 181) 13-19 მუხლების შესაბამისად და ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან საგამომგონებლო საქმეთა ამიერკავკასიის კომიტეტის მოწყობის შესახებ გამოცემული ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის სექტემბრის 6-ის დადგენილების (განმწესრ. სხდომის ოქმი № 179, § 15) მე-3 მუხლის თანახმად—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გამომგონებლობის საქმისათვის ხელის შესაწყობად, საგამომგონებლო საქმეთა ორგანოებისათვის საერთო ხელმძღვანელობის გასაწევად და მათი მოქმედების ზედამხედველობის განსახორციელებლად—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მოეწყოს საგამომგონებლო საქმეთა კომიტეტი, რომელიც იმოქმედებს განსაკუთრებული დებულების საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საგამომგონებლო საქმეთა კომიტეტს კერძოდ უფლება აქვს:

ა) დაამტკიცოს არაგაერთიანებული სახალხო კომისარიატების მიერ შემუშავებული ტიპური დებულებანი მათი ხაზით არსებული საგამომგონებლო საქმეთა ორგანოების შესახებ (საუწყებო და აგრეთვე საწარმოებთან და ორგანიზაციებთან არსებული ორგანოები);

ბ) გამოიტანოს თავისი კომპეტენციის ფარგლებში გადაწყვეტილება იმ საჩივრების შესახებ, რასაც ცალკეული ორგანოები და პირები შეიტანენ საქართველოს სსრ-ის საგამომგონებლო საქმეთა ორგანოების მოქმედებასა და დადგენილებაზე;

გ) გამოიტანოს დადგენილება, რათა იმ გამომგონებელთ, რომელთაც პატენტი წინანდელი კანონის თანახმად მიიღეს, მიეცეს გამოგონებათა და ტექნიკურ გაუმჯობესებათა შესახებ 1931 წლის აპრილის 9-ის თარიღით გამოცემულ დებულებაში გათვალისწინებული ყველა ან ზოგიერთი შეღავათი, უკეთუ მათ გამოგონებას იყენებენ საქართველოს სსრ-ის განსაზოგადოებული სექტორის სახელმწიფო ორგანოები და ორგანიზაციები.

3. გამომგონებლობისათვის ხელის შეწყობისა და გამოგონებათა და ტექნიკურ გაუმჯობესებათა უფრო ჩქარი და სწორე გამოყენების საქმის ორგანიზაციის მიზნით, სახალხო კომისარიატებთან, სადარგო შენაერთებთან და სამმართველოებთან, კოოპერატიულ ცენტრებთან, ცალკეულ წარმოებითსა და სატრანსპორტო საწარმოებთან, სადაც მუშათა რიცხვი 500 კაცზე მეტია (მათ რიცხვში — საბჭოთა მეურნეობებთან და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებთან), და აგრეთვე მსხვილ მშენებლობასთან მოეწყობა საგამომგონებლო საქმეთა ბიურო, ხოლო იმ საწარმოებში, სადაც მუშათა რიცხვი 500 კაცს არ აღემატება, მუშაობა საგამომგონებლო საქმეში დაეკისრება სპეციალურად გამოყოფილ პირს ან საწარმოს მმართველობის განსაზღვრულ ორგანოს.

ამა მუხლში აღნიშნული საგამომგონებლო საქმეთა განსაკუთრებული ორგანოები გაერთიანდებიან რაციონალიზაციის ორგანოებთან სსრ კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილი ფორმით.

4. საქართველოს სსრ-ის არაგაერთიანებული სახალხო კომისარიატებისა და ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის სათანადო სამმართველოების ხაზით არსებული საგამომგონებლო საქმეთა ორგანოების ტიპურ დებულებებს შეიმუშავებენ სათანადო სახალხო კომისარიატები და სამმართველოები, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან ან ავტონომიური რესპუბლიკებისა თუ ავტონომიური ოლქის სათანადო პროფესიონალურ ორგანიზაციებთან შეთანხმებით, და მათ დაამტკიცებს საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საგამომგონებლო საქმეთა კომიტეტი.

5. მე-3 მუხლში აღნიშნული საგამომგონებლო საქმეთა ორგანოები მოქმედობენ გამოგონებათა და ტექნიკურ გაუმჯობესებათა შესახებ 1931 წლის აპრილის 9-ის თარიღით გამოცემული დებულების (სსრკ-ის კან. კრ. 1931 წ. 21 №-ი, მუხ. 181) 15, 16 და 17 მუხლების თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. დაპრემირების ფონდები შეიქმნება და დაიხარჯება თანახმად სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის აგვისტოს 13-ის დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულების და გადამეტებით განხორციელების საქმეში მიღწეული წარმატებისათვის და აგრეთვე გამოგონებისა, ტეხნიკური გაუმჯობესებისა და სარაციონალიზაციო წინადადებისათვის დაპრემირების ფონდების შესახებ (სსრკ-ის კან. კრ. 1931 წ. 52 №-ი, მუხ. 337 და 338).

7. გაუქმებულ იქნეს საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი:

1) 1930 წლის აპრილის 26-ისა—მუშათა გამომგონებლობის საკითხების ხელმძღვანელობის ცენტრალიზაციის შესახებ (კან. კრ. 1930 წ. 10 № ი, მუხ. 141);

2) 1930 წლის ნოემბრის 15-ისა—საქართველოს სსრ სახელმწიფო დაწესებულებებისა და კოოპერატიული ორგანიზაციების ქვემდებარე ყველა წარმოებითს საწარმოსთან გამოგონებათა და მუშების წინადადებათა რეალიზაციისა და საფაბრიკო-საქარხნო გამომგონებლობის ხელისშემწყობი სათანადო ორგანოების დაარსებისა და აგრეთვე გამომგონებლობისა და მუშების წინადადებათა ხელისშეწყობის ფონდების შექმნის შესახებ (კან. კრ. 1930 წ. 20 №-ი, მუხ. 315).

საქ. სსრ ს.კ.ს.-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. იანვრის 14.
ტფილისი.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა

15. დადგენილება ს.კ.ს.

საქონლის ერთდროული აღნუსხვის შესახებ.

რათა მთავრობას ჰქონდეს ზუსტი ცნობები საქონლის რაოდენობის შესახებ, რაც სახელმწიფოს გაუადვილებს სახალხო მეურნეობის მეცხოველეობის დარგის განვითარებას და განმტკიცებას, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის იანვრის 7-ის დადგენილების (გაზ. „იზვესტია" № 10 1932 წლის იანვრის 10-ისა) შესაბამისად, ადგენს:

1. ჩატარებულ იქნეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ტერიტორიებითურთ, მუშა და პროდუქტიული საქონლის ერთდროული მთლიანი აღნუსხვა, 1932 წლის თებერვლის 1-ისთვის არსებული მდგომარეობის მიხედვით, ყველა სოფელსა, ქალაქსა და დაბაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნულ აღნუსხვასთან გაერთიანებულ იქნეს ცხენების რაოდენობის აღწერა, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით (სსრკ-ის კან. კრ. 1931 წლის 58 №-ი მუხ. 374).

2. აღნუსხვის საქმის ხელმძღვანელობა დაეკისრება საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო მეურნეობის აღნუსხვის სექტორს და მის ადგილობრივ ორგანოებს მიწათმოქმედებისა, მომარაგებისა და სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატების ორგანოების მონაწილეობით.

3. საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, „კოლმეურნეობათა გამგეობის თავმჯდომარენი, სასაქონლო ფერმების გამგენი, კოოპერატიული ფერმების გამგენი და იმ სასოფლო და საქალაქო ორგანიზიციების ხელმძღვანელნი, რომელთაც საქონელი ჰყავთ, ვალდებული არიან შეადგინონ და შეამოწმონ საინვენტარო აღწერები 1932 წლის თებერვლის 1-ისთვის იმ ნაწილში, რაც შეეხება საქონლის აღწერას აღნუსხვის პროგრამის მიხედვით.

4. დაეკისროს სასოფლო საბჭოებს გამოჰყონ თავიანთი წარმომადგენლები და მომუშავენი სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე ინდივიდუალურ მეურნეობებში და კოლმეურნეთა ინდივიდუალურ სარგებლობაში მყოფი საქონლის მთლიანი აღნუსხვის მოსაწყობად და ჩასატარებლად 1932 წლის თებერვლის 1-ისთვის, რწმუნებულთა (სარაიონო ხელმძღვანელთა) ხელმძღვანელობით.

იგივე უნდა გააკეთონ საქალაქო საბჭოებმა ქალაქებსა და დაბებში საქონლის აღნუსხვისათვის.

5. სახალხო მეურნეობის აღნუსხვის ადგილობრივ ორგანოებს (ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის სახელმწიფო საგეგმო კომისიების სასტატისტიკო სექტორები და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების საგეგმო-სასტატისტიკო ნაწილები) დაეკისრება მოაწყონ, ადგილობრივი საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით, საქონლის რაოდენობის შესახებ მიღებული ცნობების შემოწმება.

6. საქონლის რაოდენობის შესახებ ცნობების წარუდგენლობისათვის და აგრეთვე არასწორე ცნობების წარდგენისათვის დამნაშავე პასუხს აგებს კანონის თანახმად.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატს და მის ადგილობრივ ორგანოებს ჩაატარონ, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო მეურნეობის აღნუსხვის სექტორის და მისი ადგილობრივი ორგანოების განცხადებათა მიხედვით, მომუშავეების მოკლევადიანი მობილიზაცია საქონლის აღნუსხვის ჩასატარებლად და აღნუსხვის ჯამების წინასწარ გამოსაანგარიშებლად, თანაც იხელმძღვანელონ სსრ კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის 1932 წლის იანვრის 15-ის დადგენილება („იზვესტია“ № 18 1932 წლის იანვრის 18-ისა).

8. დაევალოს აფხაზეთის ავტ. სსრ, აჭარისტანის ავტ. სსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და აგრეთვე სარაიონო აღმასკომებს და საქალაქო საბჭოებს იხმარონ ღონისძიებანი იმისათვის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ უზრუნველყოფილ იქნეს აღნუსხვის პროგრამისა და მისი შედეგების დამუშავების სავსებით შესრულება საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო მეურნეობის აღნუსხვის სექტორის მიერ დადგენილ ვადებზე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. იანვრის 25.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 25 №-ში 1932 წ. იანვრის 30.

---

16. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

კოლმეურნეთა საზოგადოებრივი ურთიერთი დახმარების სალაროს დებულების დამტკიცების შესახებ.

რადგან სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ძლიერმა ზრდამ წამოაყენა ამოცანა სოფლად არსებული საზოგადოებრივი ურთიერთი დახმარების ორგანიზაციის გადაკეთების შესახებ, და საგლეხო ურთიერთი დამხმარე საზოგადოებები, რომლებიც უწევდნენ სამეურნეო დახმარებას ინდივიდუალურ საგლეხო მეურნეობებს, კოლექტიურ მეურნეობებში შეცვლილ უნდა იქნენ საზოგადოებრივი ურთიერთი დახმარების სალაროებით, რომლებიც წარმოიშვებიან კოლმეურნეთა თვითმოქმედების საფუძველზე, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს ქვემომდევნო დებულება კოლმეურნეთა საზოგადოებრივი ურთიერთი დახმარების სალაროს შესახებ.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივნის მ. დ. ა. **მ. ტოროშელიძე.**

1931 წ. დეკემბრის 31.

ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

კოლმეურნეთა საზოგადოებრივი ურთიერთი დახმარების სალაროს შესახებ.

1. კოლმეურნეთა საზოგადოებრივი ურთიერთი დახმარების სალარო მოეწყობა ნებაყოფლობის საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო არტელში და კომუნაში. გადაწყვეტილება სალაროს მოწყობის შესახებ მიიღება კოლმეურნეთა საერთო ან სადელეგატო კრებაზე. ურთიერთი დახმარების სალაროს მოწყობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესახები საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა არა ნაკლებ, ვიდრე კოლმეურნეობის წევრთა უფლებამოსილი საერთო ან სადელეგატო კრების ხმათა $^2/_3$ უმეტესობის თანხმობა. ამ შემთხვევაში კოლმეურნეობის ყველა წევრი შედის სალაროს შედგენილობაში.

2. კოლმეურნეთა საზოგადოებრივი ურთიერთი დახმარების სალაროს განაგებენ არჩეული ორგანოები; სალარო მოქმედობს წესდების საფუძველზე, რასაც დაამტკიცებს კოლმეურნეობის წევრთა საერთო ან სადელეგატო კრება იმ სანიმუშო წესდების შესაბამისად, რომელსაც შეიმუშავებს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი საკოლმეურნეო ცენტრთან შეთანხმებით და დაამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

ადგილობრივი პირობების მიხედვით და აგრეთვე იმის მიხედვით, თუ სად მოეწყობა ურთიერთი დახმარების სალარო, არტელთან თუ კომუნასთან, სალაროს სანიმუშო წესდებაში შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები, ხოლო ამ წესით შეტანილი ცვლილებები და დამატებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამა დებულებას, სსრკ-ისა, ა/კსფსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის კანონმდებლობას და სანიმუშო წესდების ძირითად დებულებებს.

3. საზოგადოებრივი ურთიერთი დახმარების სალარო დახმარებას უწევს თავის წევრებს იმ შემთხვევაში, როცა კოლმეურნეობის წევრებს სხვადასხვა მიზეზით (ავადმყოფობა, შრომის უნარიანობის ხანგრძლივად დაკარგვა, ოჯახის მომუშავის სიკვდილი, ორსულობა, მშობიაობა და სხვ.) არ შეუძლიანთ მიიღონ მონაწილეობა წარმოებაში და მათ ესაჭიროებათ საზოგადოებრივი დახმარება. სალაროს მიერ თავისი წევრებისათვის გასაწევი დახმარების ოდენობა, წესი და ფორმები განისაზღვრება საზოგადოებრივი ურთიერთი დახმარების სალაროს წევრთა საერთო ან სადელეგატო კრების დადგენილებით იმის კვალობაზე, თუ რა სახსარი და შესაძლებლობა აქვს სალაროს.

4. სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრები, რომელნიც იმყოფებიან სახელმწიფო უზრუნველყოფაზე, მიიღებენ ამ უზრუნველყოფას საზოგადოებრივი ურთიერთი დახმარების სალაროს მეშვეობით, რისთვისაც სოფლის საბჭოები და სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ორგანოები გადასცემენ ურთიერთი დახმარების სალაროს იმ სახსარს, რაც ამ მიზნისათვის გადადებულ იქნება სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებით.

5. საზოგადოებრივი ურთიერთი დახმარების სალარო მოეწყობა თვით კოლმეურნეთა საკუთარი სახსრით; კოლმეურნენი შეიტანენ სალაროში შესასვლელ გადასახადს და თავიანთი შემოსავლის ყოველწლიურ ანარიცხს განსაზღვრული პროცენტის სახით; ამ პროცენტს განსაზღვრავს სალაროს წევრების საერთო ან სადელეგატო კრება.

ამის გარდა, ურთიერთი დახმარების სალაროს სახსარს შეადგენს:

ა) კოლმეურნეობის საზოგადოებრივი ფონდის ანარიცხები იმ რაოდენობით, რასაც დააწესებს კოლმეურნეობის საერთო ან სადელეგატო კრება სასოფლო სამეურნეო არტელის წესდების მე 11 §-ის თანახმად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ის სახსარი და ქონება, რაც გადაეცემა ლიკვიდირებული საგლეხო ურთიერთი დამხმარე საზოგადოებიდან;

გ) უპატრონო, ბეითალმანი და სასამართლო ან საადმინისტრაციო წესით კონფისკებული ქონება;

დ) ჯარიმა და სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოების გადაწყვეტილებით გადახდევინებული სხვა თანხა და.

ე) სხვადასხვა სახის შემოსავალი.

6. სალაროს წესდებით გათვალისწინებულ უნდა იყოს სათადარიგო კაპიტალის შექმნა სალაროს ყველა შემოსავლის ანარიცხისაგან არა ნაკლებ, ვიდრე 5%-ის რაოდენობით. ანარიცხების გაღება სწარმოებს იმ დრომდე, ვიდრე სათადარიგო კაპიტალი არ მიაღწევს სალაროს წლიური გასავლის 30%-ს.

სალაროს სახსარი უნდა ინახებოდეს სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებაში.

7. მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონში და აგრეთვე იმ რაიონში და სოფელში, სადაც კოლმეურნეობებში შესულია არა ნაკლებ, ვიდრე მოჯამაგირეთა და ღარიბ და საშუალო მეურნეობათა 60%, საგლეხო ურთიერთი დამხმარე საზოგადოება ლიკვიდირდება და მთელი მისი ფულადი და ნატურალური სახსარი და ფასეულობა (მათ შორის გაცემული სესხის ვალდებულებანიც) გადაეცემა კოლმეურნეთა საზოგადოებრივი ურთიერთი დახმარების სალაროს. ურთიერთი დამხმარე საზოგადოების სხვა ქონება, მათ შორის საწარმონიც, გადაეცემა კოლმეურნეობას მის გამგეობასთან შეთანხმებით. გადაცემული ქონებისა და საწარმოს ნამდვილ ღირებულებას კოლმეურნეობა გადაუხდის სალაროს. საგლეხო ურთიერთი დამხმარე საზოგადოების ვალდებულებისათვის სალარო პასუხს აგებს საზოგადოების კრედიტორების წინაშე მხოლოდ მიღებული სახსრისა, ფასეულობისა და ქონების ღირებულების ფარგლებში.

8. კოლმეურნეთა საზოგადოებრივი ურთიერთი დახმარების სალარო მუშაობს საქართველოს სსრ-ის სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატისა, სათანადო ავტონომიური რესპუბლიკის და ოლქის სოციალური უზრუნველყოფის ცენტრალური ორგანოსი და აგრეთვე სოციალური უზრუნველყოფის სათანადო ადგილობრივი ორგანოს ხელმძღვანელობით და კონტროლით; სასოფლო საბჭოს ევალება გაუწიოს სალაროს უახლოესი ხელმძღვანელობა და მუშაობის კონტროლი.

9. კოლმეურნეთა საზოგადოებრივი ურთიერთი დახმარების სალაროს და აგრეთვე მის დაწესებულებას და საწარმოს ეძლევა შელავათი სადგომების დაქირავებისა და ქირის გადახდაში და კომუნალური მოსამსახურეობის სფეროში იმ გადასახადელის 50% რაოდენობით, რაც საზოგადოდ დაწესებულია სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებათა და საწარმოთათვის.

10. კოლმეურნეთა ურთიერთი დახმარების სალარო და აგრეთვე მისი დაწესებულება და საწარმო სხვადასხვაგვარი გარიგების დადების დროს და ყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა სხვა შემთხვევაში განთავისუფლებულია ყველა ადგილობრივი გადასახადისაგან და გამოსაღებისაგან და ერთიანი სახელმწიფო ბაჟისაგან.

11. კოლმეურნეთა ურთიერთი დახმარების სალაროს თანამდებობის პირნი პასუხისმგებლობის მხრით გათანაბრებულ არიან სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა თანამდებობის პირებთან.

ზრომა

17. დადგენილება ს. კ. ს.

მებამბეობის 1932 წლის გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით მდინარეთა შემობექურებისათვის შრომითი საჭაპანზიდვო ბეგარის შემოღების შესახებ.

„1932 წლის მებამბეობის გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს და საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის დადგენილების (გაზ. „ზარია ვოსტოკა“ № 10 1932 წ.) მე-II კარის მე-9 მუხლის შესაბამისად და მებამბეობისათვის საჭირო წყალსამეურნეო სამუშაოების მუშა-ძალით უზრუნველსაყოფად—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ბამბის რაიონების საარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და სასოფლო საბჭოებს, იმ შემთხვევაში, როდესაც მებამბეობისათვის საჭირო წყალსამეურნეო სამუშაოთა საჭაპანზიდვო ძალით საკმარისად უზრუნველყოფის სხვა საშუალებანი ამოწურულია, საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს ორგანოების მოთხოვნით შემოიღონ ადგილობრივი მოსახლეობისათვის სასყიდლიანი შრომითი საჭაპანზიდვო ბეგარა მდინარეთა შემოსაბექურებლად.

2. ბეგარაში გამოყენებული საჭაპანზიდვო და სატრანსპორტო საშუალებათა სასყიდელი გაიცემა საარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დაწესებული შეფასებით.

შენიშვნა. იმ პირთა საჭაპანზიდვო და სატრანსპორტო საშუალებათა სასყიდელი, რომელნიც ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ინდივიდუალური წესისამებრ იბეგრებიან, გაიცემა დაკლებული შეფასებით.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1932 წ. იანვრის 17.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალურ-კულტურული წყობილება

18. დადგენილება ს. კ. ს.

ხონის ყოფილი სამოსწავლო სემინარიის, ამჟამად პედაგოგიური ტექნიკუმის, 50 წლის არსებობის აღნიშვნის შესახებ.

ორმოცდაათი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც არსებობს ხონის ყოფ. სამოსწავლო სემინარია, ამჟამად პედაგოგიური ტექნიკუმი, რომელმაც ამ ხნის განმავლობაში მოგვცა საუკეთესო ძალები, როგორც პედაგოგიურ, ისე პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ასპარეზზე. აღნიშნულის გამო საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ხონის პედტექნიკუმი 1932 წლის იანვრიდან გადაკეთებულ იქნეს სანიმუშო-საჩვენებელ პედკომბინატად სკოლამდე აღზრდის პედაგოგიურ მუშაკთა მოსამზადებლად. დაევალოს განათლების სახალხო კომისარიატს პედტექნიკუმების ქსელის გაშლის დროს გაითვალისწინოს აღნიშნული პედკომბინატის ჯგუფების გახსნა.

2. პედკომბინატთან დაარსდეს ორი ძალოვანი სახელოსნო, რომლის მოწყობა და სათანადო მასალით უზრუნველყოფა დაეკისროს საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს.

3. დადასტურებულ იქნეს ხონის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება პედკომბინატისათვის ყოფილი სამასწავლებლო სემინარიის შენობის გადაცემის შესახებ; ამასთანავე განათლების სახალხო კომისარიატის 1932 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულ უნდა იქნეს სათანადო თანხა აღნიშნული შენობისათვის მესამე სართულის დასაშენებლად.

4. რადგან პედკომბინატი რესპუბლიკანური მნიშვნელობისაა, მისი დაკომპლექტების დროს ადგილები განაწილებულ იქნეს რაიონებს შორის, რისთვისაც რაიონიდან მივლინებული მსმენელები უზრუნველყოფილ უნდა იქნენ საერთო საცხოვრებლითა და სტიპენდიებით.

5. პედპრაქტიკის რაციონალურად დაყენების მიზნით, პედკომბინატთან შეერთებულ იქნეს საბავშო ბაღი და ოთხწლედი.

6. პედკომბინატთან მოეწყოს აგრეთვე დაუსწრებელი პედტექნიკუმი დაბალი განათლების მქონე და ტექნიკუმებიდან ვადამდე გამოშვებული მასწავლებლების საშუალო კვალიფიკაციისათვის.

7. პედკომბინატთან მოეწყოს პედაგოგიური კოლმეურნეობის ფაკულტეტი მეორე სახელმწიფო პედინსტიტუტისათვის მსმენელების მოსამზადებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. პედკომბინატთან მოეწყოს ტეხნიკუმის დებულებით გათვალისწინებული კაბინეტები, სადგურები და მუზეუმი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **ბ. გოგია.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **რ. შომახია.**

1931 წ. დეკემბრის 19.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" მე-290 №-ში 1931 წ. დეკემბრის 20.

შეცდომის გასწორება

კან. კრ.	გვ.	სტრიქ.	უნდა იყოს:
№ 1	7	4—5	**ტყიბულის რაიონში:**
		შუა	

მთავლიტი 311. საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა. ტირაჟი 1.200